Georgische Zeitung „SAKARTHWELO“

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველო

№ 19 (96) გამოც. მე-3 წელი. | ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი | ბერლინი, 8 მაისი, 1944 წ.


## ვიბრძოლოთ გამარჯვების დიადი რწმენით

ომის საშინელებათაგან დატანჯული ქართველი ხალხი ოცნებობს ომის სწრაფად დამთავრებაზე, სტალინური რეჟიმის დამხობაზე. ამ დიადი საკაცობრიო საქმისათვის იბრძვიან ქართველ მოხალისეთა გმირული ათასეულები გერმანელი ჯარისკაცის მხარდამხარ. ქართველ ხალხს ფრონტის ორსავე მხარეს სწამს ბოლშევიზმის დამარცხება და იგი იბრძვის ტრადიციული თავგანწირვით ამ უსაშინელესი მტრის წინააღმდეგ.

წითელი არმიის იერიშები, რომლებიც მრავალი თვის მანძილზე გრძელდებიან, ზოგიერთი მერყევი ადამიანის შეგნებაში ჰბადებენ შემცდარ აზრს, თითქოს ბოლშევიკები საკმაოდ ძლიერნი არიან და შესწევთ უნარი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრონ ომი.

ანტიბოლშევიკური პრესის ფურცლებზე არაერთგზის იყო აღნიშნული, რომ წითელი არმიის შემოტევა არ მოასწავებს სტალინის გამარჯვებას. ეს შემოტევა, პირველყოვლისა, მოასწავებს გვამების ახალ გროვებს ომის გზაზე. მოიძებნებიან გონებადახშული ობივატელებიც, რომლებიც გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობებში ჰკითხულობენ რა გერმანიის არმიის გეგმაზომიერ უკანდახევათა შესახებ ზოგიერთ უბანზე, აფასებენ მას, როგორც ბოლშევიკების სიძლიერის შედეგს. მაგრამ მეტად საინტერესოა ასეთ ობივატელს ვკითხოთ, რას ჰხედავს ბოლშევიკების გამარჯვების ამ მითიურ ნისლში? ზავსა და საყოველთაო მშვიდობიანობას?

არ არის სხვა რამ იმაზე უფრო სულელური, ვიდრე ფიქრი, რომ ბოლშევიკები ქართველი ხალხისათვის და საერთოდ ევროპისათვის მოიტანენ მშვიდობიანობას. წითელ არმიას მოაქვს სისხლიანი ხიშტი არა მსოფლიოს მშვიდობიანობისათვის, არამედ ხალხთა განუწყვეტელი, სისხლისმღვრელი ომებისათვის. გონებადახშული და გულუბრყვილო უნდა იყოს აგრეთვე ის, ვინც ჰფიქრობს, რომ საერთაშორისო პლუტოკრატიისა და ბოლშევიზმის დროებითი შეხმატკბილება ჩააქრობს იმ კატასტროფულ წინააღმდეგობებს, რომლებიც დასაბამიდანვე ღვივის მოკავშირეთა ბანაკში.

თეირანისა და სხვა მის მაგვარ კონფერენციებს, რომლებიც წარმოადგენენ სიყვარულის გულისშემატოკებელ ახსნას სტალინსა, რუზველტსა და ჩერჩილს შორის, ინგლის-ამერიკელი გენერლების დაჯილდოებას რომელიღაც „მეორე ფრონტისათვის“, არ შეუძლიათ აღმოფხვრან შინაგანი განხეთქილებანი, რომლებიც მეფობენ მტრების ბანაკში. ლენინი და სტალინი ხომ საქვეყნოდ გაჰყვიროდნენ ორი სისტემის — ბოლშევიზმისა და კაპიტალიზმის დიდიხნით თანაცხოვრების შეუძლებლობაზე... უფრო მეტიც, იგივე ლენინი ჰქადაგებდა, რომ პროლეტარიატმა ბოლოსდაბოლოს მახვილი უნდა ჩასცეს კაპიტალიზმს. ბოლშევიკურ სახარებაში მკვეთრი ასოებითაა ამოქარგული მთავარი ცნება — მსოფლიო კაპიტალიზმის მოსპობა.

ბოლშევიკები ინგლის-ამერიკელებთან ერთად აწარმოებენ ომს გერმანიის წინააღმდეგ. შეიძლება აქედან ვიფიქროთ, რომ ისინი ისახავენ ერთ მიზანს? ასეთი დასკვნა არალოგიკური და გულუბრყვილო იქნებოდა. ებრძვიან რა გერმანიას, მოკავშირეებს ამოქმედებთ სულ სხვადასხვა მიზნები. ინგლის-ამერიკელებს სურთ ეკონომიურად გაბატონდნენ ევროპაზე, ბოლშევიკები გულმხურვალედ ლოცულობენ პოლიტიკურ ბატონობაზე და მსოფლიო რევოლუციაზე. ნიუ-იორკის ფინანსური ბირჟა და ლონდონის ბანკები ყიდულობენ სტალინს, საბჭოთა ხალხის სისხლს. ინგლის-ამერიკელებმა ომის მთელ მანძილზე დაჰკარგეს რამდენიმე ასი ათასი კაცი მაშინ, როცა წითელი არმიის დანაკარგი შეადგენს 15 მილიონ კაცს. მდგომარეობა ნათელია, თამაში სწარმოებს იმაზე, თუ ვინ ვის მოატყუებს.

გერმანიისა და მისი მოკავშირეების გმირული ბრძოლა აღფრთოვანებას იწვევს თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხში. ამაყი ფინელი ხალხის განმეორებითი გმირული პასუხი სტალინის საზავო პირობებზე, გამოჰხატავს იმ ერთსულოვან აზრს, რომლითაც საერთოდ გამსჭვალული არიან ევროპის პატარა ერები.

სისხლისაგან დაცლილი წითელი არმიისათვის ევროპის „განთავისუფლება“ როდი იქნებოდა საკმარისი, იგი უნდა გამხდარიყო ბოლშევიკური იმპერიალიზმის ჟანდარმად, ხალხთა ჯალათად.

ბოლშევიკურმა არმიამ უდიდესი დანაკარგითა და მსხვერპლით მოიპოვა საერთოდ წარმატებანი, მათი პოზიციები ამჟამად წამოწეულია ძალზე წინ, თითქმის სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის საზღვრამდე. ეს სივრცე გახდება ბოლშევიკებისათვის გამანადგურებელი დარტყმების ადგილად. წითელი ჯარები სდგანან ევროპის თავდაცვითი ფრონტის ახლოს, ახლო ბრძოლისათვის საჭირო დისტანციაზე. ბოლშევიკური კომუნიკაციები მიზიდვისათვის, ჯარის გამოკვებისა და სამხედრო მასალის გადმოსროლისათვის ერთობ გაგრძელებულია, ზურგში სუფევს უწესრიგობა. მათ ათასეულ კილომეტრზე უნდა ატარონ თვითეული ჯარისკაცი, რათა ფრონტზე მოიყვანონ. წითელი არმიის წინ არის კონცენტრირებული თავდაცვითი ძალა და სტრატეგიულად ურთიერთდაკავშირებული სივრცეები, უკან კი მანევრირებითი ომის შედეგად გადამწვარი, სავსებით ცარიელი, უკაცური ტერიტორია. აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანია იბრძვის მხოლოდ ნახევარი ძალით, მისი მთავარი ყურადღება ეხლა დასავლეთისაკენაა მიპყრობილი. ყველასათვის ცხადია, თუ როგორ სწრაფად შეაჩერეს ეს ბოლშევიკური ნიაღვარი გერმანიისა და მისი მოკავშირეების ჯარებმა. ცალკეულ უბნებზე ბოლშევიკები უკუიქცნენ.

თვითეული საღად მოაზროვნე ადამიანისათვის რეალური ფაქტია ის გარემოება, რომ ბოლშევიკებს არ შესწევთ ძალა დაამთავრონ ომი თავიანთ სასარგებლოდ, აღმოსავლეთის ფრონტზე კვლავ დადგება უმაგალითო ბრძოლების დღეები და გერმანიის იარაღი გამოავლენს გამანადგურებელ ძალას.

მხოლოდ ბოლშევიზმის განადგურებით შეიძლება განთავისუფლდეს ჩვენი სამშობლო. ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ არის ბრძოლა მშვიდობიანობისათვის, სიცოცხლისათვის, თავისუფლებისათვის. მთელი ძალები — ამ ბრძოლის წარმატებით დამთავრებისათვის!

## ახალი დანიშვნა

**ადოლფ ჰიტლერმა სახალხო განათლებისა და პროპაგანდის სამინისტროს სახელმწიფო მდივნად დანიშნა სამინისტროს დირექტორი, დოქტორი ვერნერ ნაუმანი. ყოფილმა მდივანმა ლეოპოლდ გუტერერმა დასტოვა თავისი თანამდებობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.**



ქართველი მოხალისეები საველე მომზადებაზე.

## ბრძოლა კომპრომისის გარეშე

უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტის მოადგილე ოიგენ რაცმა წარმოსთქვა სიტყვა ჰოდმეცოვაზარჰელში, სადაც, სხვათაშორის, აღნიშნა: „მე პირადად ვკისრულობ პასუხისმგებლობას ჩვენი გადაწყვეტილების მტკიცედ გატარებაზე, რომ ჩვენ ერთხელ აღებულ გეზს არ შევცვლით და უშიშრად ვივლით წინ იქამდე, სანამ ჩვენი ამოცანა მთლიანად შესრულებული არ იქნება.

ჩვენ არანორმალურ ადამიანებად ვთვლით ყველას, ვისაც სჯერა ჩვენი მიზნების ნახევრადშესრულება ანდა კომპრომისი. მძიმე და დიდი ბრძოლების ჩატარება მოგვიხდება მომავალში, ამიტომ ვალდებული ვართ მობილიზაცია ვუყოთ ყველა ჩვენს ძალებს, რათა უნგრეთის ისტორიის ამ დაძაბულ მომენტში ვიბრძოლოთ ყოველგვარი კომპრომისის გარეშე.

ჩვენი გადამწყვეტი სიტყვაა ნაციის შენარჩუნება და ერის სურვილების შესრულება, ამ ბრძოლაში ჩვენ ან გავიმარჯვებთ, ან დავიღუპებით.

*

### თავისუფალი ინდოეთის მთავრობა

ინდოეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადმა, სუბჰას ჰანდარა ბოსემ გამოაცხადა, რომ თავისუფალი ინდოეთის მთავრობის ადგილსამყოფელი უახლოეს ხანებში გადატანილი იქნება ინდოეთის ტერიტორიაზე, რომელიც განთავისუფლებულია ინდოეთის ნაციონალური არმიის მიერ. მთავრობის წევრები უკვე მიემგზავრებიან ამისთვის დანიშნულ ქალაქში. შემუშავებულია განთავისუფლებული ოლქების მართველობის გეგმა.

*

### „ევროპაში შემოჭრის ფსიქოზი“

ნიუ-იორკის ჟურნალი „ტაიმი“ ახასიათებს მოსახლეობის განწყობილებას ამერიკაში. ევროპაში მომავალი შემოჭრის პროპაგანდა თურმე ამერიკაშიც მოქმედებს მოსახლეობის ნერვებზე. აღნიშნული ჟურნალი ლაპარაკობს „შემოჭრის ფსიქოზზე“, რომელმაც სააღდგომო დღეებში მოიცვა მთელი ქვეყანა და შეაფერხა მთავრობის დაწესებულებათა მუშაობა ვაშინგტონში.

„თვითეული ელოდა ამ უდიდეს ამბავს, — სწერს გაზეთი — არავის არ სურდა გამოეტანა რაიმე გადაწყვეტილება მანამდე, სანამ გადამწყვეტი სიტყვა არ წარმოსთქვა თვით ეიზენჰოვერმა. ხალხი ენიძლავებოდა ერთმანეთს იმაზე, თუ როდის მოხდება ევროპაში შეჭრა, აპრილში, მაისში, ივნისში, აგვისტოში, ოქტომბერში თუ მხოლოდ ნოემბრის არჩევნების შემდეგ? თვეს თვითეული ირჩევდა თავისი გემოვნების მიხედვით“.

*

### უელესი ციმბირს მიემგზავრება

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ იტყობინება, რომ უელესი მიემგზავრება არამარტო ჩუნცინში, არამედ ციმბირშიც, სადაც აპირებს აწარმოოს მოლაპარაკება ბოლშევიკებთან. „ამ მოლაპარაკებას,—სწერს გაზეთი, — უნდა ექნეს განსაკუთრებული მნიშვნელობა. უელესის მოგზაურობა, ყოველ შემთხვევაში, ჰქმნის შესაძლებლობას ახალი სავაჭრო კომბინაციებისათვის“.

### იაპონიის ახალი წარმატება

ბირმა-ინდოეთის საზღვრიდან იტყობინებიან, რომ ამ დღეებში იაპონიის რჩეულმა ნაწილებმა კანედის მთის მწვერვალზე აწარმოვეს გადამწყვეტი ოპერაციები მტრის დიდად გამაგრებული პოზიციების ასაღებად. მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზის გაბედული გარღვევის შედეგად, დღის მეორე ნახევარში იაპონელებმა შესძლეს დაეძლიათ მტრის წინააღმდეგობა.

მაღლობის დაკავების შემდეგ იაპონელები განაგრძობენ უკუქცეული მტრის განადგურებას.

*

### მიტროპოლიტი სერგის მოკვლა

კოვნოდან ვილნოში ავტომანქანით მგზავრობის დროს, ლატვიისა და ლიტვის მიტროპოლიტი სერგი მოკლულ იქნა ბოლშევიკების ბანდის მიერ.

მოკლული მიტროპოლიტი იყო ბოლშევიზმის დაუძინებელი მტერი. რამდენიმე ხნის წინათ, რიგაში იგი თავმჯდომარეობდა ყრილობას, რომელზედაც გაკიცხულ იქნა ბოლშევიკური რეჟიმი და გაუგონარი ტერორი, რომელსაც ადგილი აქვს წითელი არმიის მიერ დაკავებულ ოლქებში.

*

### ნოქსის გარდაცვალება

28 აპრილს გულის სიგანივრით გარდაიცვალა ჩრდილო-ამერიკის საზღვაო მინისტრი ნოქსი. იგი 70 წლისა იყო.

რუზველტის გვერდით, ნოქსი წარმოადგენდა ღერძის სახელმწიფოების ერთერთ ყველაზე შეურიგებელ და სასტიკ მტერს. თავისი ცხოვრების კარიერა ნოქსმა ჟურნალისტობიდან დაიწყო.

საზღვაო მინისტრად დანიშვნამდე, იგი ითვლებოდა ჰორსტის ცნობილი საგაზეთო ტრესტის დირექტორად. ნოქსმა გაითქვა სახელი თავისი განუხორციელებელი პროგნოზებით. იაპონიის ომში ჩარევის შემდეგ, მან „იწინასწარმეტყველა“, რომ იაპონია ელვის სისწრაფით იქნებოდა მოსპობილი.



ზურგში სამხედრო მომზადების შემდეგ, ქართველი მოხალისეები მონაწილეობას ღებულობენ ბრძოლებში... სურათზე: ერთი მომენტი ფრონტის ხაზზე

# მდგომარეობა ფრონტებზე

## კვირეული მიმოხილვა

სევასტოპოლის არეში, ისე როგორც დნესტრის შესართავსა და კარპატებს შორის, ბოლშევიკების გააფთრებული შემოტევანი სრულიად უშედეგოა. მტრის შემოტევა უკუგდებულია დნესტრის ზემოდინებასა და კარპატებს შორის, აგრეთვე ქ. კოველის არეში. გერმანიის, უნგრეთისა და რუმინეთის ჯარები უდიდეს ზარალს აყენებენ საბჭოთა არმიას.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის 3 მაისის ცნობებით, ბოლშევიკები მსხვილი ძალებით მოაწყნენ მდ. სერეთის შუადინებაზე. ისინი სცდილობდნენ გაერღვიათ აქ გერმანელებისა და რუმინელთა ფრონტი, მაგრამ მათი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ერთი დღის განმავლობაში განადგურებულია 160 საბჭოთა ტანკი.

სამხრეთი იტალიის ფრონტზე, განსაკუთრებით ქ. ნეტუნოს მიდამოებში, ადგილი ჰქონდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს. მტრის შემოტევები წარმატებით იქნა მოგერიებული. გერმანიის საბრძოლო თვითმფრინავებმა 2 მაისს ღამით დაბომბეს ნეტუნოს სამხედრო საჭურვლისა და სურსათის საწყობები. იმავე დღეს, 2 მაისს, ჩრდილო-ამერიკის ბომბდამშენებმა მოახდინეს საჰაერო ტერორისტული თავდასხმა ქ. ფლორენციის საცხოვრებელ კვარტალებზე, დანგრეულია მრავალი სახლი. არის მოსახლეობის მსხვერპლიც. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულ იქნა მტრის 5 თვითმფრინავი.

29 აპრილს, დღისით, ჩრდილო-ამერიკელთა ბომდამშენების მსხვილი შენაერთები თავს დაესხნენ ქ. ბერლინს. გერმანიის საჰაერო თავდაცვამ მედგარი შეტევით უპასუხა მტრის ტერორისტულ თავდასხმას, ჩამოგდებულ იქნა 129 თვითმფრინავი, რომელთაგან 121 ოთხმოტორიანია.

გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობით, აპრილის განმავლობაში გერმანიაში, იტალიასა და ბალკანეთში ჩამოგდებულია ინგლის-ამერიკელთა 1.392 თვითმფრინავი 11.000 მფრინავით. წყალქვეშა ნავებმა აპრილის განმავლობაში ჩასძირეს ინგლის-ამერიკელთა 27 გამანადგურებელი და დამცველი სამხედრო გემი, ერთი ნაღმმწმენდი და შვიდი სწრაფმავალი ნავი. დაზიანებულია 5 გამანადგურებელი და 9 სწრაფმავალი ნავი. ამასთანავე ერთად გერმანელებმა ჩასძირეს მტრის 23 სავაჭრო-სატრანსპორტო გემი, რომელთა წყალწყვა 227.000 ბრუტტონას უდრის.

წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა ბალკანეთში კომუნისტური ბანდების წინაალმდეგ. აპრილის განმავლობაში ბანდიტებმა დაჰკარგეს 11.224 მოკლული და 4.228 ტყვე.

# ახალი დაწოლა ნეიტრალურ ქვეყნებზე

ინგლის-ამერიკელები განაგრძობენ და აძლიერებენ თავიანთ ლაშქრობას ნეიტრალური სახელმწიფოების წინაალმდეგ. მათს დაწოლას ეხლა განიცდის არამარტო შვეცია, არამედ ხელახლა ესპანეთი, პორტუგალია და ირლანდია.

„სტოკჰოლმს ტიდნინგენის“ ნიუ-იორკელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის სამხედრო სარდლობა მოითხოვს რეპრესიულ ზომებს შვეციის მიმართ, თუ იგი მომავალში არ შესწყვეტს საქონლის ექსპორტს გერმანიაში. ფილადელფიის ერთერთი გაზეთის ვაშინგტონელი კორესპონდენტი ასახელებს ხუთ ღონისძიებას, რომელნიც ცხოვრებაში უნდა გატარდეს. ესენია: ყველა შვედური ფირმის შეტანა შავ სიაში, კონვოის მოხსნა გემებზე, შვეციაში ნავთობის შეტანის აკრძალვა, სასურსათო საქონლის შეტანის აკრძალვა შვეციიდან ამერიკაში და, ბოლოს, შვეციის უძრავი ქონებისა და ძვირფასი ნივთების კონფისკაცია ამერიკაში.

რაც შეეხება პორტუგალიას და ირლანდიას, ინგლისის ხელისუფლებამ შესწყვიტა ნებართვების გაცემა გემებისათვის ლისაბონში გასამგზავრებლად. საქმე იმაშია, რომ ამ ნებართვების გარეშე გემებს არ შეუძლიათ გვერდი აუარონ ინგლისის ბლოკადის ხაზს და ამით ყოველგვარი კავშირი პორტუგალიასა და ინგლისს შორის სწყდება. ის გემები, რომლებიც მოგზაურობდნენ ირლანდიასა და პორტუგალიას შორის, უნდა გაჩერდნენ დოკებში, ხოლო მათი ეკიპაჟები მოხსნილი იქნან. ერთი ირლანდიური გაზეთი სწერს, რომ ინგლისის ამ ღონისძიების შედეგები მეტად სერიოზული შეიძლება აღმოჩნდნენ, ვინაიდან ირლანდია ღებულობს ამერიკიდან ხორბალს, ქაღალდსა და სხვა ნედლეულს, ამასთან ეს საქონელი ირლანდიაში მიდის ლისაბონზე გავლით, სადაც მას ტვირთავენ ირლანდიის გემებზე.

იდენი ხელახლა დაჟინებით მოითხოვს, რომ ესპანეთმა და პორტუგალიამ დაუყოვნებლივ უნდა შესწყვიტონ ეკონომიური ურთიერთობა გერმანიასთან.

შვეციის პრესა გამოსთქვამს აზრს, რომ ინგლის-ამერიკელები უახლოეს ხანებში შემოიღებენ ახალ რეპრესიებს შვეციის წინაალმდეგ.

### 1392 თვითმფრინავი აპრილში

გერმანიის საჰაერო თავდაცვამ აპრილში მიაღწია სარეკორდო ციფრს, ჩამოაგდორა ინგლის-ამერიკელების 1392 თვითმფრინავი (მარტში ჩამოგდებული 1126 თვითმფრინავის ნაცვლად). ამ თვითმფრინავების 80 პროცენტი ეკუთვნის ჩრდილო-ამერიკის საჰაერო ყაჩაღებს.

1392 თვითმფრინავის დაკარგვა ნიშნავს 17 ესკადრილიის ანუ ბომბდამშენთა 14 ესკადრილიის დაკარგვას. ამ მანქანებთან ერთად ინგლის-ამერიკელებმა დაჰკარგეს 11.000 კაცი საფრენოსნო პერსონალიდან.

# კიდევ ერთი გამქრალი გენერალი

გენერალი ვატუნინის სახელი ჰქუხდა მთელს საბჭოთა კავშირში. პრესა დაფდაფს სცემდა ვატუნინის ძლევამოსილი წინსვლის შესახებ უკრაინის ფრონტზე, ინგლისის ყრანტალა საზოგადოებრივმა აზრმა რათქმა უნდა ცალი ყბით ვატუნინს წითელი არმიის უნიჭიერესი სარდლის სახელი მიაკერა...

ვატუნინის სახელი პოპულარული იყო ხალხში, რადგან მასები მასში ხედავდნენ წითელი არმიის ისეთ ხელმძღვანელს, რომელიც უაზროდ და მიზანშეუწონლად სთვლიდა ომის შემდგომ გაგრძელებას, ომისა, რომელიც მოითხოვს კოლოსალურ მსხვერპლს და შიმშილით განადგურებას ემუქრება ქვეყანას...

სტალინმა კარგად იცოდა ვატუნინის შეხედულება; გენერლის ტრაგედიას წინ უსწრებდა სტალინის ბრძანება; ამ ბრძანებაში იგი მადლობას უცხადებდა უკრაინის ფრონტის ხელმძღვანელობას, მაგრამ არა ვატუნინს, არამედ, ახალ სარდალს, მარშალ ჟუკოვს... ვატუნინის მზე ნელნელა ესვენებოდა... და აი, ერთ მშვენიერ დღეს, გამოქვეყნდა ბრძანება — ვატუნინმა გადასცა ფრონტის ხელმძღვანელობა ჟუკოვს, ვინაიდან მისი „ჯანმრთელობა ერთობ შერყეულია“.

სტალინი ნელნელა აცლიდა ნიადაგს ფეხქვეშ ვატუნინს. წითელი არმიის არსებობის 26 წლისთავზე მას არ დაჰკიდეს ორდენი... სამაგიეროდ მერეცკოვმა, რომელიც ცნობილია უკანგაქცევაში, მიიღო უმაღლესი ჯილდო, მკერდი დაიმშვენეს აგრეთვე მარშალმა ვოროშილოვმა და ვაიმარშალმა ბუდიონიმ. მარტო ერთი ვატუნინი დარჩა უჯილდოოდ...

ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ ვატუნინის თავზე დაგროვდნენ შავი ღრუბლები... იგი საშიში პიროვნება იყო სტალინისათვის... საოპერაციო მაგიდაზე, ისე როგორც სხვა გენერლებმა, სული დალია ვატუნინმაც. სტალინი არც კი შეეცადა გამოეცხადებინა დაწვრილებითი ცნობები... მაგრამ ერთი კი საინტერესოა, რატომ ნანგრევებად ქცეულ კიევში უკეთებდნენ ოპერაციას ვატუნინს და არა მოსკოვის ქირურგიულ ინსტიტუტში? ვატუნინის ბედი ისეთივე აღმოჩნდა, როგორც ტუხაჩევსკის, ეგოროვის, ბლიუხერისა და სხვებისა. ასეთია ხვედრი ყველა საბჭოთა მოქალაქისა.

...და ასე გაჰქრა კვლავ ერთი გენერალი ვატუნინი. ცხადია, ვატუნინის მოკვლა წარმოადგენს ახალი წმენდის დასაწყისს წითელი არმიის უმაღლეს სარდლობაში... ალბათ მრავალი გენერალი კიდევ შეეწირება მსხვერპლად ამ წმენდას...

ლეგ. შ. თ.

# ბრძოლა ინდოეთში




ინდოეთ-ბირმის საზღვრის რაიონში ამჟამად მიმდინარე საბრძოლო მოქმედებანი, რომლებიც სულ უფროდაუფრო ვითარდებიან და უახლოვდებიან დასახლებულ პუნქტებს, მთელი პროგრესული კაცობრიობის ყურადღებას იპყრობს. დასახლებული პუნქტები ნაკლებად ცნობილია იმისათვისაც კი, ვინც გეოგრაფია კარგად იცის. ბრძოლას ინდოეთ-ბირმის საზღვარზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ აუცილებელია გავეცნოთ საბრძოლო ოპერაციებს.

იაპონიისა და ინდოეთის ნაციონალურმა ჯარებმა გადალახეს რა რამდენსამე ადგილას საზღვარი, წარმატებით მიემართებიან ქვეყნის სიღრმისაკენ, ავიწროებენ ინგლისელებს, რომლებიც უკან იხევენ თავიანთი ზურგის ბაზებისაკენ. ქალაქი კოხიბა ენერგიული ბრძოლით უკვე აღებულია იაპონელთა მიერ. ერთობ მძაფრი ბრძოლა სწარმოებს მანიპურის სასაზღვრო რაიონში, რომლის მთავარი ქალაქია იმფალი. იმფალი მდებარეობს ხეობაში. ხეობის სიგრძე 85 კილომეტრია, ხოლო სიგანე — 35 კილომეტრი. ქალაქი ყოველმხრივ გარშემორტყმულია მაღალი ქედებით. 1931 წლის აღწერის მიხედვით, იმფალში 450.000 მცხოვრებია, მათგან 58 პროცენტი შეადგენს ინდურ მოსახლეობას, დანარჩენნი ეკუთვნიან მთის სხვადასხვა ტომებს.

იმფალის ხეობას მთელ წელს ამაგრებდნენ ინგლისელები. აქ იდგნენ საუკეთესოდ შეიარაღებული ინგლისური დივიზიები, იაპონელებისა და ინდოეთის ნაციონალური ჯარების შეიარაღება შედარებით მსუბუქია, მაგრამ ეს არ უშლის ხელს მათ უკუაქციონ ინგლისელები და მოიპოვონ ახალი წარმატებანი.

იმფალი უმნიშვნელოვანესი სტატეგიული პუნქტია, აქ იყრის თავს მთის მრავალი გზა, რომელთაც არაჩვეულებრივ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ. ეს ქალაქი ინგლისელთათვის თამაშობს დიდ როლს. იაპონიის შეიარაღებული ძალები და ინდოეთის ნაციონალური ჯარები მიემართებიან ქალაქისაკენ სამი მხრით, ინგლისის უმაღლესი სარდლობა ლორდი მოუტბეტენის სახით იძულებულია შეურიგდეს იმ მდგომარეობას, რომ იგი მალე დასტოვებს ამ დასაყრდენ პუნქტს.

იაპონელების მიერ იმფალის მთლიანად გარემოცვა და ამასთანავე ერთად მანიპურის მთელი პროვინციის აღება, მოასწავებს ინგლისელთათვის არამარტო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის დაკარგვას, არამედ ჰქმნის მუქარას ორი მეზობელი პროვინციის —ასამისა და ბენგალისათვის. შეტევაზე გადასულ იაპონელ და ინდოეთის ნაციონალურ ჯარებს უკავიათ მთავარი გზები და მაგისტრალები, რომლებითაც მანიპური დაკავშირებულია ასამსა და ბენგალთან. ეს მდგომარეობა მათ საშუალებას აძლევს იოლად გადალახონ ძნელადგადასასვლელი მთის ქედები. გარდა ამისა, ჯერკიდევ წვიმების დადგომამდე კარგა ხნით ადრე იაპონელები და ინდოეთის ნაციონალური ჯარები შესძლებენ ძლიერ მიუახლოვდნენ ერთი მხრივ ჩიტაგონგს, ხოლო მეორეს მხრივ — სილჩარზე გავლით, მდინარე ბრაჰმაპუდრას. უკანასკნელად მიღებული ცნობების თანახმად, იაპონურმა და ინდოეთის ნაციონალურმა ჯარებმა უკვე ორმხრივ შემოუარეს მანიპურს და მიუახლოვდნენ სილჩარს.

ინდოეთ-ბირმის საზღვარზე მიმდინარე სამხედრო მოქმედებანი ღებულობენ გადამწყვეტი ოპერაციების სახეს. იაპონიისა და ინდოეთის ნაციონალური ჯარების შესვლამ ინდოეთის ტერიტორიაზე კიდევ უფრო აამაღლა ინდოეთის ხალხის ეროვნული ბელადისა და თავისუფლებისათვის შეუპოვარი მებრძოლის სუბჰას ჩანდარა ბოსეს ავტორიტეტი. ინდოეთ-ბირმის საზღვარზე მოპოებული წარმატებანი იზიდავენ ათასეულობით მოხალისეებს ინდოეთის ნაციონალური არმიის გასაძლიერებლად. ნაციონალურად განწყობილი ინდოელები მზად არიან თავისებური თავგანწირულობით იბრძოლონ ინგლისელების ბატონობის წინაალმდეგ.

ბრძოლების შემდგომი მსვლელობა და განვითარება გვაჩვენებს, რომ ხალხის რწმენა და ძალა, რომელიც ასე შეუპოვრად იბრძვის სამშობლოს განთავისუფლებისათვის, გაიმარჯვებს. ინდოელი ხალხი გამოიჩენს იმდენ ენერგიასა და თავდადებას, რომ ერთხელ და სამუდამოდ განდევნოს ქვეყნიდან ინგლისელი დამმონებელნი.

ლეგ. ბ. წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირველი ქართველი ოფიცრები, რომლებმაც დაამთავრეს გერმანული სამხედრო სკოლა, გერმანელ მასწავლებელთან ერთად

## სტალინის რეჟიმის წინააღმდეგ

ანტიბოლშევიკური პარტიზანული მოძრაობა საბჭოთა ფრონტის ზურგში დღითიდღე იზრდება და ძლიერდება. სტალინის ჯოჯოხეთური რეჟიმის წინააღმდეგ აზვირთებული სახალხო მოძრაობის ტალღა ამიერკავკასიიდან მოედო ჩრდილო კავკასიას, ყუბანს, კრასნოდარის მხარეს. პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ საბჭოთა სარდლობას უხდება სატანკო დივიზიების გამოყვანა. ეს რაზმები გმირულად ესხმიან თავს სამხედრო ობიექტებს, ანადგურებენ საბჭოთა აეროდრომებს, სპობენ წითელი არმიის ცალკეულ ნაწილებსა და ჯგუფებს.

ვისგან შესდგებიან ეს პარტიზანული რაზმები? ისინი, პირველყოვლისა, არიან ადამიანები, რომლებიც წინათ იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის; ესენი არიან ყოფილი სტალინური „პარტიზანები", სამხედრო ტყვეები, რომლებიც თავიანთი ამხანაგების ბედით დარწმუნდნენ, თუ რა ელით მათ ბოლშევიკურ „სამოთხეში". სჯობია ბრძოლის ველზე სიკვდილი, ვიდრე ჩავარდე ბოლშევიკების ხელში —ასეთია თვითეული მათგანის გადაწყვეტილება.

ანტიბოლშევიკური პარტიზანული რაზმების სიძლიერეზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ სტალინს ამ მოძრაობის ჩასაქრობად სჭირდება სპეციალური სამხედრო ღონისძიებათა გატარება. იმ რაიონებში, სადაც პარტიზანები იჩენენ განსაკუთრებულ აქტიობას, რომელთაც ხშირად ადგილობრივი მოსახლეობაც უჭერს მხარს, საბჭოთა სარდლობა იძულებული გახდა მიეყვანა წითელი არმიის რეგულარული ნაწილები. შინსახკომის სისხლიანი ტერორისაგან თავისდახსნის მიზნით, მოსახლეობა გადის ტყეში და ავსებს პარტიზანული რაზმების რიგებს. პარტიზანების სამოქმედო რაიონებში სდგანან შინსახკომის ჯარები, რომლებიც მთელი სისასტიკით უსწორდებიან მოსახლეობას.

„ჩრდილო კავკასიის პარტიზანული რაზმების შტაბმა" გაავრცელა არალეგალური ფურცლები, რომელშიც იგი მიუწოდებს ხალხს იბრძოლოს ბოლშევიკური ტირანიის წინააღმდეგ. ეს ფურცელი ხელიდან ხელში გადადიოდა. შინსახკომის საგანგებო განყოფილებები არბევდნენ სოფლებსა და ქალაქებს, რათა ხელში ჩაეგდოთ ფურცელი.

ანტიბოლშევიკური პარტიზანული მოძრაობა საბჭოთა ზურგში ისე ძლიერია, რომ სტალინი იძულებულია მის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბას შინსახკომის ყველა ძალა. კრემლში პარტიზანული მოძრაობის ირგვლივ ცხარე კამათი იყო. სტალინის მითითებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის უფლება განუსაზღვრელია არბიოს და აწიოკოს მოსახლეობა. ამ კომისიის ხელმძღვანელად დანიშნულია ნაფიცი ჩეკისტი, სისხლისმსმელი ლავრენტი ბერია.

ანტიბოლშევიკური პარტიზანული მოძრაობა თანდათან უძლეველი ხდება. სახალხო სიძულვილისა და აღშფოთების ტალღები წალეკავენ საძირკველშერყეულ სტალინურ რეჟიმს.

ლეგ. ი.ნ.

## წარსულის შავი ლანდები

ლეგ. ქ. რაჭველი

თავს ობლად ვგრძნობდი, ზღვა ფიქრები ირგვლივ მესია
და ვათენებდი მწუხრით სავსე ღამეებს თეთრად,
მაგრამ ნაწამებს ერთხელაც არ დამიკვნესია
და შენს წინაშე თვალთაცქერას ვაჩენდი მკვეთრად.

ბავშვურ ღიმილით ავსებული არას ხედავდი,
სურნელოვანი იისა და ვარდების გარდა.
მე ვნებულ სულის სიმარტოვეს ჩემში ვკეტავდი,
რომ სინამდვილე დუხჭირ ყოფნის არ გეგრძნო დარდად.

ხშირად გართობდი, ტრფიალებით ენა დნებოდა,
შენ ქართულ ვნებით ანთებული მეკვროდი გულზე,
მაგრამ ეს გული არ იცოდი რისთვის ჭკნებოდა,
ან სხვა რა იყო უმძაფრესი ამ სიყვარულზე.

დაშნით დასერილს დაადარეს თბილისის ღამე,
მზეს და სიცოცხლეს უმართავდნენ სიკვდილის ურნებს.
იცრემლებოდა ცის მშვენება და სიკამკამე, —
რომ საქართველოს თემურ-ლენგის დრო დაუბრუნეს.

იბნიდებოდა იქ დღეები და ლანდი ჩემი, —
როგორც მაჩაბლის, სცილდებოდა საყვარელ პროსპექტს.
ჩაჭქრა სიამე და იმედის გადანარჩენი,
უცხო ძალებმა ვერაგულად მოსრისეს, მოსპეს.

ჩვინ სიყვარულის უფლებაც კი არა გვქონია,
სულნაწამები გადამტყორცნეს ბედის ანაბრად:
ბედმა მაჩუქა კვლავ სიცოცხლე და მე მგონია,
რომ ეს გულები ეხლა უფრო სძგერენ თანაბრად.

დამშვიდდი ვარდო, მალე ნისლი გაჰქრება ცაზე,
კიდევ მიხილავ გამარჯვებულს, შენს გვერდით მყოფელს.
ფიცის შემნახველთ კვლავ მოგვხიბლავს ეს სილამაზე
და ბედნიერნი მოვიპოვებთ მეფურ სამყოფელს.

## ლითონის ნამსხვრევები პურის ნაცვლად

საბჭოთა სამფლობელოში ცხოვრება პირდაპირ გადმოსდუღს. ყველაფერი იზრდება, ვითარდება და, რაც მთავარია, გადაჭარბებით სრულდება... სტალინი ცერცვსავით აბნევს „მამობრივი" მზრუნველობით ალსავსე ყბადასაღებ ბრძანებებს. ერთი სიტყვით, მთავრობა „ზედ აკვდება" მზრუნველობით ჯარისკაცსა და მის ოჯახს.

აი ერთი მაგალითი:

ამ რამდენიმე ხნის წინათ მოსკოვში ჩატარდა კვირეული ფრონტელთა ბავშვების დასახმარებლად. საბჭოთა პრესა ამის შესახებ სწერდა: „დედაქალაქის ათასეულობით მშრომელმა მიიღო მონაწილეობა კვირეულში. ბავშვების დახმარების ფონდს გადაეცემა გეგმისზევით გამოშვებული ყველა პროდუქცია".

რა შექმნეს გეგმისზევით კვირეულის მონაწილეებმა? ამაზე ისევ პრესას მოვუსმინოთ: „ორიათასი კაცი აწარმოებდა ამ დღეს ლითონის ნამსხვრევების გადმოტვირთვას, ხუთიათასამდე სწმენდდა ქარხნების ეზოებს, ორი ათასი ახარისხებდა კარტოფილს შესანახავად"...

... და აი, ეს გეგმისზევით „გამოშვებული პროდუქცია", ლითონის ნამსხვრევები, ნაგავი და ნარჩევი, დამპალი კართოფილი მიეძღვნა ფრონტელთა ბავშვებს.

რა ჟესტია! რა გულუხვობა!.. მართლაც რომ სტალინური ზრუნვაა ბავშვებზე, „ბავშვებო, სჭამეთ ვინეგრეტი დაჟანგული ქანჩებისაგან, ლითონის წიდისაგან, ჩაიგემრიელეთ პირი დამპალი კართოფილით და იხარეთ!.. ყველაფერი ეს მოგცათ თქვენ დიდმა სტალინმა!"

მაგრამ ახლოვდება დრო, როცა დატანჯულ ბავშვებს მოშორდებათ „სტალინური მზრუნველობა", ბოლო მოეღება თვალთმაქცობასა და დაცინვას... ახლოა ის საათი, როცა მამები-ფრონტელები დაამხობენ სტალინისა და მისი ბანდის ბატონობას... და მხოლოდ მაშინ მიიღებენ საბჭოთა ბავშვები ქანჩების, ჭანჭიკების, ჟანგისაგან შეჭმული ლურსმნებისა და რკინის ნამსხვრევების ნაცვლად, ნამდვილ საკვებს, გადაჰყრიან ძონძებს...

ლეგ. ი. ბ.

## შიში...

ბოლშევიკური რეჟიმი მასების მართვის განსაკუთრებული სისტემით ხასიათდება. საბჭოთა ხალხის დასამორჩილებლად სტალინი ეძებს განსაკუთრებულ მზაკვრულ მეთოდებს. ეს მეთოდებია — მოტყუება, გამცემლობა, დაშინება, ტერორი. ბოლშევიკები გააფთრებით მიჰმართავენ ამ მეთოდებს თავიანთი დესპოტური ხელისუფლების შესანარჩუნებლად. მომაკვდინებელი შიში შინსახკომის ორგანოების წინაშე, წარმოადგენს იარაღს, რომლის საშუალებითაც კრემლის ბოროტმოქმედნი ბატონობენ მშრომელთა მილიონებზე. ამ იარაღის გარეშე ბოლშევიკები ვერ შესძლებდნენ 23 წლის განმავლობაში ეპარპაშათ ჩვენს მშობლიურ მიწაწყალზე. შიშის გრძნობით აიძულებდნენ სტალინის დამქაშები ხალხს ემუშავნათ მათ სასარგებლოდ. შიშის გრძნობით ახერხებდნენ ისინი ჰყოლოდათ ხალხი მუდმივ ჩაგვრაში და მონურ მორჩილებაში. მატყუარა, დაუნდობელი და სასტიკი ხელისუფლება სცდილობდა გაეძარცვა, დაემცირებინა ხალხი, წაერთვა მისთვის საკუთარი ინიციატივა და თავისუფალი შემოქმედების უნარი.

ჩვენი ხალხი თავისთავად ამაყი, გაბედული და გმირი ხალხია. მაგრამ, რა შეეძლო გაეკეთებინა ხალხს, რომელიც შებოჭილი იყო პროვოკაციისა და ტერორის ქსელით, ალსავსე იყო რა საბჭოთა რეჟიმისადმი სიძულვილით, არ ჰქონდა შესაძლებლობა გადასულიყო აქტიურ ბრძოლაზე სტალინური დესპოტიის წინააღმდეგ. მასებს შეეძლოთ მხოლოდ შეენახათ თავიანთი სიძულვილი ბოლშევიკური წესრიგისადმი. ისინი იძულებული იყვნენ მოეთმინათ წითელი ბანდიტების თავხედობა, სამშობლოს დამცირება, წმინდა ტრადიციებისა და ზნეჩვეულებათა შეგინება. მხოლოდ მაშინ, როდესაც მხეცური თარეში უკიდურესობამდე მიდიოდა, ხალხი უპასუხებდა მას მასობრივი გამოსვლებით, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ჩვენს სამშობლოში 1924 წელს. ქართველი ხალხი განუწყვეტლივ ებრძოდა დამმონებელ რეჟიმს, ხშირად იფეთქებდა ხოლმე გლეხობის გამოსვლები.

ბოლშევიკური დიქტატურის ბატონობის წლებში, საბჭოთა ხალხის ცხოვრების ლეიტმოტივად შეიქნა შიში. ხალხს ყველაფრის ეშინოდა, ეშინოდა პარტიის, შინსახკომის, მილიციის, ადგილკომის, უფროსების, თანამშრომლების, ამხანაგებისა და წარმოიდგინეთ კედლებისაც კი თავის საკუთარ ოთახში. შიში იმონებდა და ახრევინებდა ქედს ადამიანს, აიძულებდა ჩაეხშო თავისთავში ყოველგვარი პროგრესული თუ კეთილშობილური გრძნობა. საბჭოთა ხალხის საკმაოდ დიდმა ნაწილმა, შეპყრობილმა ამ ჯოჯოხეთური შიშით, დაივიწყა ადამიანისათვის დამახასიათებელი კეთილშობილი თვისებები — მეგობრობა, სიყვარული და პატიოსნება. შიშის გამო ხდებოდა, რომ ზოგიერთმა გადაგვარებულმა საბჭოთა ადამიანმა ასე კარგად შეითვისა საბჭოთა სისტემის განუშორებელი თანამგზავრი — ჯაშუშობა და დაბეზღება. შიშმა დასთესა ხალხში სიყალბე, უნდობლობა, მლიქვნელობა, კარიერიზმი.

ბნელ მაღაროებში, ქარხნების ნესტიან სარდაფებში მუშები ლუკმა-პურისათვის წელებზე ფეხს იდგამდნენ, ხოლო სოფელში ათასობით იხოცებოდნენ მშრომელი გლეხები მაშინ, როდესაც „ტორგსინის" მაღაზიები საქონლით იყო სავსე, მინდვრებზე კი ფუჭდებოდა აუღებელი მოსავალი. მილიონობით ხალხი ილუპებოდა შინსახკომის ჯურღმულებში, საკონცენტრაციო ბანაკებში, მათი ნათესავები და მეგობრები კი კრებებზე „ერთგულებას" ეფიცებოდნენ სტალინურ ბანდას, ხმას აძლევდნენ ყბადასაღებ „კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის" კანდიდატებს, განცხადებებს სწერდნენ „თანამგრძნობთა ჯგუფებში" მისაღებად. შიში მიერეკებოდა მილიონობით ხალხს ემუშავნა მათრახისა და რევოლვერის რეჟიმის სასარგებლოდ.

მასობრივმა ტერორმა მთელი ქვეყანა მიიყვანა ზნეობრივ გადაგვარებამდე. პატიოსანი ადამიანებიც კი იძულებული იყვნენ ცამდე აეყვანათ და შეექოთ სიყალბე, ყოველ ნაბიჯზე ეცრუათ და ზურგი შეექციათ სამართლიანობისათვის. ხელისუფლების ყოველგვარი უმსგავსო განკარგულება მიიღებოდა უსიტყვოდ, კაზიონური ენთუზიაზმით და ყოველი კრება მთავრდებოდა „ხალხთა მამის" საპატივსაცემო შეძახილებით.

ეხლა, როდესაც მსოფლიოში სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წითელი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ბოლშევიკები ფრონტის იქით განაგრძობენ თავიანთ შავბნელ საქმიანობას, მეტის შეუბრალებლობით იყენებენ მზაკვრობისა და დაშინების მეთოდებს. შინსახკომის რაზმები და შპიონაჟის ფართო ქსელი მოქმედებენ წითელი არმიის რიგებში. ფრონტზე მებრძოლ თვითეულ წითელარმიელს, რომელიც თავს სწირავს ურია-ბოლშევიკების ხელისუფლებას, ეშინია ზედმეტი სიტყვისა და მოძრაობისა. სძულს რა სტალინი, იგი იძულებულია იბრძოლოს მისთვის. საბჭოთა ჯარი შიშის ქვეშ იცავს თავის დამმონებელს.

პარტიული ინკვიზიტორების სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ, საბჭოთა ადამიანები უკანასკნელ ძალღონეს ალევენ სამხედრო ქარხნებს, მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე ნახევრად მშიერ-მწყურვალნი და ღვრიან ოფლს. მთელი რაიონები შიმშილობენ ფრონტისიქითა მხარეზე, განწირული ადამიანები ოცნებობენ ომის სწრაფად დამთავრებაზე, საბჭოთა რეჟიმის დამხობაზე. სჯობია სიცივითა და შიმშილით დაიღუპო, ვიდრე შინსახკომის ხელში ჩავარდე. საბჭოთა ხალხი სიკვდილის შიშით შეპყრობილი ეწირება თავის მტარვალებს. ამაში მდგომარეობს მისი ისტორიული ტრაგედია.

შიში ჰბორკავს ხალხს, უხშობს საღი აზროვნების უნარს, უყინავს სისხლს. როგორც ლოდი, ისე აწევს სტალინური რეჟიმი ჩვენ სამშობლოს. მხოლოდ ბოლშევიზმის მოსპობით შეიძლება განთავისუფლდეს ჩვენი ხალხი ამ კოშმარისაგან, მუდმივი შიშისაგან.

რა მსხვერპლის გაღებაც არ უნდა დაგვჭირდეს ამ საქმისათვის, იგი უნდა გავიაროთ, სხვა გზა არ არსებობს. მხოლოდ ბოლშევიზმთან მედგარი ბრძოლით შეიძლება მოიპოვოს ხალხმა თავისუფალი ცხოვრება ყოველგვარი შიშისა და კოშმარის გარეშე.

ლეგ. მ. თ.

## მემარცხენეთა ბანაკიდან

### ახალი თვალთმაქცობა

2 აპრილს, მოსკოვში შესდგა ურიათა წარმომადგენლების მესამე საკავშირო მიტინგი. თავმჯდომარეობდა ამ მიტინგზე საბჭოთა კავშირის ანტიფაშისტური ურიული კომიტეტის თავმჯდომარე, არტისტი ს. მიხოელსი. აი რა სთქვა ამ ვიგინდარა არტისტმა მიტინგის გახსნისას:

— ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ დიდი რუსი ხალხის მიერ შემჭიდროვებულნი და შთაგონებულნი, ებრაელთა ერის შვილები ვიბრძვით საბჭოთა სამშობლოსათვის,, ხელიხელჩაკიდებულნი რუსებთან, უკრაინელებთან, ქართველებთან, კაზახებთან და საბჭოთა კავშირის სხვა ერების წარმომადგენლებთან.

რა მოხდა? საიდან გაჩნდა უცბათ ასეთი თავმდაბლობა?

ამ საიდუმლოების მთელი „სიბრძნე" შემდეგში მდგომარეობს: საბჭოთა კავშირის ხალხებმა უკვე დაიწყეს იმის გაგება, თუ ვისთვის ღვრიან ისინი საკუთარ სისხლს. საბჭოთა ხალხმა იგრძნო, ვინ არის ამ ომის დამწყები და, ცხადია, თვალისასახვევად საჭიროა რამდენიმე ტკბილი სიტყვის თქმა მათთვის...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ურიებს არ უშველით ასეთი თვალთმაქცობა, პირმოთნე სიტყვების აქეთ-იქით სროლა და საბჭოთა კავშირის ხალხები მათ თავისდროზე ღირსეულად „გაუმასპინძლდებიან".

### წყალქვეშა კონტრაბანდა

ომის დაწყებისას, ამერიკაში კონფისკაცია უყვეს ყველა კერძო გემს. მაგრამ ამით ამერიკელი ყაჩაღები და კონტრაბანდისტები სრულიად არ შეშინდნენ. ისინი განაგრძობენ თავიანთ „დიდად სასარგებლო" საქმიანობას უკვე წყალქვეშ. ამ დღეებში, მოულოდნელად გამოირკვა, რომ მათ ხელში იმყოფება შვიდი წყალქვეშა ნავი. ამ ნავებით კონტრაბანდისტებს სისტემატურად გადააქვთ ამერიკიდან კუბაში და უკან კუბიდან ამერიკაში ბენზინი, რომი და სხვა საქონელი, აგრეთვე გადამყავთ ხალხი.

როგორც ხედავთ, ამერიკელები მეტად მოხერხებული ხალხი ყოფილა. მსოფლიოს შემდგომი „ამერიკანიზაციის" დროს უნდა მოველოდეთ, რომ ჯიბგირები შეიარაღდებიან ცეცხლმფრქვევებით, ყალბი ფულების მკეთებელნი ისარგებლებენ სახელმწიფო სტამბებით და მცირეწლოვანი ბავშვების გამხრწნელები იფრენენ უახლესი კონსტრუქციის თვითმფრინავებით.

რა გვეთქმის... ამერიკა ტექნიკის ქვეყანაა!..

## [illegible]

### ახალი მსოფლიო რეკორდი

ქაირში ჩამოყალიბდა საბერძნეთის ახალი ემიგრანტული მთავრობა, რომლის შემადგენლობა მეტად საინტერესოა: პრემიერ-მინისტრი — სოფოკლ ვენიზელოსი, სამხედრო მინისტრი — სოფოკლ ვენიზელოსი, საზღვაო მინისტრი — სოფოკლ ვენიზელოსი, იუსტიციის მინისტრი — სოფოკლ ვენიზელოსი, საგარეო საქმეთა მინისტრი — სოფოკლ ვენიზელოსი.

ამრიგად, მინისტრთა პორტფელების აწევის მსოფლიო რეკორდი დამყარებულია. სოფოკლ ვენიზელოსი მსოფლიო და ქაირის ჩემპიონია. ისწრაფეთ ნახოთ მძლეოსანი, სანამ მას წელი არ მოსწყვეტია... მაგრამ თქვენ შეგიძლიათ დამშვიდებით იყოთ, სოფოკლს არ მოწყდება წელი და არც თიაქარი გაუჩნდება იმიტომ, რომ მან ასწია და ხელში დაიჭირა ცარიელი პორტფელები, რომლებიც უკავია მარტოს კი არა, არამედ ისეთი ცირკის მასხარა ძველი გაიძვერების დახმარებით, როგორიც ჩერჩილი და რუზველტია.



ქართველ მოხალისეთა ტაქტ იკური მეცადინეობა ველად

## საინტერესო თემაზე

### ჯიბის საათის გამოგონებამდე

ადვილი წარმოსადგენია რა მოხდებოდა, რომ უცებ ყველა სახის საათი ჩვენ თვალთაგან გამქრალიყო...

საზოგადოების მცირე ნაწილს, რომელიც იცნობს ასტრონომიას, შეეძლო ეს უბედურება ადვილად გადაეტანა, მაგრამ დიდი უმრავლესობა კი უმწეო მდგომარეობაში ჩავარდებოდა.

ძველად, როდესაც არავითარი საათის მაგვარი ხელსაწყო არ არსებობდა, ადამიანებს დროის განსაზღვრა მზის და სხვა ბუნებრივი თავისებურებების საშუალებით უხდებოდათ. ასე რომ, თვითეული ადამიანი ასტრონომიის კარგი მცოდნე იყო.. დღეს კი ასტრონომია უმრავლესობისაგან შედარებით მივიწყებული დარგია.

კარლ დიდს სურდა ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად, ხმელთაშუა ზღვის ანტიკური კულტურის მქონე ქვეყნებიდან ქარის ყვავილი შემოეტანა, რომელიც 12 ნაწილად იყოფოდა.

გერმანელებმა ამაზე უფრო ადრე მზის მოძრაობაზე ზუსტი დაკვირვებების შედეგად განსაზღვრეს დედამიწის მხარეები; აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი და ამის შემდეგ ჰორიზონტი გაჰყვეს 4, 8 და 16 თანაბარ ნაწილად. ეს მათ აძლევდა საშუალებას დროის ზუსტი განსაზღვრისათვის. ამგვარად ჰორიზონტის ზუსტი დაყოფა ცნობილი იყო ძველ დროშიც კი. სხვა ზღვებთან შედარებით, ხმელთაშუა ზღვაზე ქარების მოძრაობა ერთი და იგივეა, ამიტომ მეზღვაურები აქ მიმართულებას და დროსაც კი ქარების მოძრაობით საზღვრავდნენ.

დღეს გაკვირვებაში მოჰყავს ადამიანი იმ ფაქტს, თუ როგორი თანამედროვე მათემატიკური სიზუსტით არის გამოანგარიშებული ყველა ზემოთნაჩვენები, ჩვენი წინაპრების მიერ წარმოებული ცდები, რა დიდი გონებრივი მუშაობის ჩატარება იყო საჭირო, რომ განესაზღვრათ დრო თუ მიმართულება ძველად!

დღეს საკმარისია დახედოთ საათს ან ყიბლანს და თქვენთვის ყოველივე ცხადი გახდება. ტექნიკამ ადამიანი მრავალი თავსამტვრევი საკითხისაგან სრულიად გაანთავისუფლა. დამტკიცებულია, რომ ჩრდილოეთში მცხოვრებთა მიერ შემოღებული დროის განსაზღვრა მზისა და ვარსკვლავების საშუალებით თვის დასაბამს ყინულოვან პერიოდიდან ღებულობს. ყველაზე განთქმული, ციური მოვლენების საუკეთესო მცოდნე იყო ისლანდიელი მეთევზე შტერნოდე. ჩვენს დროში ის ალბათ სახელგანთქმული პროფესორი იქნებოდა.

*

### კბილის მკურნალობა უძველეს დროში

კბილის ექიმობა, როგორც ირკვევა, ცნობილი ყოფილა ჯერკიდევ უძველეს დროში, ქრისტეს დაბადებამდე. ეგვიპტეში წარმოებული გათხრების შედეგად, აღმოჩენილ იქნა მრავალი ისეთი მუმია, რომელთაც პირის არეში ხელოვნური კბილები ჰქონდათ.

ერთერთი ასურული ცხრილი, რომელიც შედგენილია ოთხი საუკუნით ადრე ქრისტეს დაბადებამდე, მოგვითხრობს კბილის უმტკივნეულოდ ამოღების შემდეგი წესების შესახებ: პაციენტს თავზე აცმევენ ყუთს, რომელსაც იქამდე სცემენ, სანამ მას გონება არ დაეკარგება და მხოლოდ შემდეგ შეუდგებიან კბილის „უმტკივნეულოდ" ამოღებას.

### იტალიის მეფეების განძი

ტურინში, ეიერბას ეკლესიის ერთერთ აკლდამაში, რომელშიც იტალიის მეფეთა საგვარეულო სახლს ეკუთვნის, პოლიციამ აღმოაჩინა ჩაკირული საგანძური. იგი შესდგება 34 ყუთისაგან. ყუთები სავსეა ვერცხლით,, ოქროთი, ძვირფასი თვლებით და სხვა იშვიათი ნივთებით. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს განძეული ჩაკირულია აკლდამაში მეფეების მიერ, შენახვის თვალსაზრისით. ყველა ნივთები და აგრეთვე ძვირფასი ლითონი პოლიციამ გადასცა იტალიის სახელმწიფო ბანკს.

## დამწერლობის ისტორიიდან

დამწერლობა ეწოდება აზრების ქაღალდზე გამოხატვის ხელოვნებას. მისი ისტორია მეტად გრძელია და შორეულ წარსულში იკარგება. დამწერლობის წარმოშობის საკითხის ზუსტი გარკვევა დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან. მისი გამოგონება საბოლოო პროდუქტია მრავალი ცდებისა, რომელნიც წარმატებით არ დასრულდნენ. ფორმები დამწერლობისა, რომლებიც მთელ მსოფლიოში იხმარება, მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს ფორმები სავსებით ამართლებენ იმ მოსაზრებას, რომ ისინი სხვადასხვა ადგილებში წარმოიშვნენ, ურთიერთისაგან დამოუკიდებლად. დამწერლობის ზოგიერთი ფორმა ჰგავს იეროგლიფებს ან აცკეტების ნაწერს.

დამწერლობის საშუალებით აზრთა ფიქსირება შეიძლება პირველად მაშინ დაწყებულიყო, როდესაც ადამიანთა კულტურამ მიაღწია გარკვეულ სიმაღლეს, როდესაც ერთად ცხოვრებამ შექმნა ურთიერთობის აუცილებლობა არა მხოლოდ ზეპირი მეტყველების საშუალებით. საერთოდ რომ ვთქვათ, დამწერლობა არსებობს უკვე რამდენიმე ათასი წელიწადია. ამ ათასი წლების მანძილზე ბევრი ისეთი რამ დაიღუპა, რასაც შეეძლო დახმარება გაეწია დამწერლობის წარმოშობის შესახებ ცნობების შესაკრებად. როდესაც ჩვენ ვხვდებით დამწერლობის რომელსამე უძველეს ფორმას, ჩვეულებრივად გვეჩვენება, რომ იგი წარმოადგენს ასეთუისე შემდგომი განვითარების საბოლოო შედეგს. იმისათვის, რათა გამორკვეულიყო ამ გენიალური გამოგონების რაობა, გამოყენებულ იქნა ყოველგვარი საშუალებები. ცდათა ცენტრში იდგნენ ხმელთაშუაზღვეთის ხალხები, დასავლეთ აზიისა და ამერიკის ტომები.

დამწერლობის განვითარების პირველ საფეხურებს აკუთვნებენ ქვების გროვებსა და ცალკეულ ძეგლებს, რომლებიც, როგორც სჩანს, აღნიშნავენ რაიმე შემთხვევებს თუ მოვლენებს, გარდა ამისა — ამავე საფეხურს აკუთვნებენ ქვის ხანის გამოსახულებებს, ჰდეებს ჯოხებზე და ხის ნაჭრებზე. პერუელები ნასკვიანი დამწერლობით სარგებლობდნენ. ესპანელების წინადროინდელ პერუში მას იყენებდნენ ასტრონომიული თარიღებისა და რიცხვთა ანგარიშის გამოსახატავად. ასეთი დამწერლობის ეგზემპლარი წარმოადგენს რამდენიმე მეტრის სიგრძის მქონე ბაწარს. იგი განსაკუთრებული ხერხით რამდენიმე ალაგას გამოკვანძულია. ეს დამწერლობა ჯერკიდევ არ არის ამოხსნილი, მისგან შეიძლებოდა ბევრი რამის გაგება ინკების სახელმწიფოს ისტორიის შესახებ. ამოუხსნელია აგრეთვე ქვებისაგან გაკეთებული ვეებერთელა გამოსახულებანი და ხეებზე ამოკაწრული ნიშნები და სიმბოლოები.

იეროგლიფები (ბერძნულად — „საღმრთო წერილი"), ეს არის ეგვიპტური სურათოვანი დამწერლობა, რომლებიც გვხვდება ძეგლებსა და პაპირუსის ნაჭრებზე. იეროგლიფებით სარგებლობდნენ 300 წლამდე ქ. დ. ამ დამწერლობის გაშიფვრა მოხერხდა მხოლოდ 1822 წელს, როზეტის ქვის წყალობით, ვინაიდან ამ ქვაზე, რომელიც 1799 წელს ქვემოეგვიპტეში, როზეტისთან იპოვეს, წარწერა გაკეთებული იყო სამ ენაზე: იეროგლიფებით, ეგვიპტური სახალხო შრიფტით და ბერძნულად.

იეროგლიფებით, ე. ი. სურათოვანი დამწერლობით სარგებლობდნენ აგრეთვე მექსიკელები და ინდიელები. ჩრდილო ამერიკის ინდიელები იყენებდნენ იდეურ დამწერლობას, რომელიც განსაკუთრებული ნიშნების საშუალებით გადმოგვცემს ყველაზე მთავარს და არ გამოხატავს მთელ ფრაზებს. ასეთივე გზით ვითარდებოდა ეგვიპტური სურათოვანი დამწერლობაც, რომელიც მალე გადავიდა სიტყვიერ დამწერლობაში. ყოველ სიტყვას თავისი სურათი შეესაბამებოდა. თანდათან ეს სურათოვანი დამწერლობა მარტივდებოდა და ნიშნები უფრო ადვილად სახმარებელი ხდებოდნენ.

ცნობილია დამწერლობის სხვა სახეც, მაგალითად, ლურსმნული დამწერლობა, რომელიც ლურსმნის ან სოლის მსგავსი შტრიხებისაგან შესდგებოდა. ამ დამწერლობით სარგებლობდნენ სპარსელები, მიდიელები, ასურელები და ბაბილონელები. ლუსმნული დამწერლობა პირველად სურათოვნისაგან არაფრით განსხვავდებოდა, ვინაიდან აქაც თითო ნიშანი მთელ სიტყვას გამოხატავდა. ამ ნიშნებიდან გამომუშავდა სიტყვები-მარცვლები.

ჩინელებიც პირველად ნასკვიანი შრიფტით სარგებლობდნენ. 4.000 წლის წინათ გაჩნდა ეხლანდელი ჩინური დამწერლობა. მას შემდეგ მან მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება განიცადა. ამ დამწერლობაში თვითეულ სიტყვას თავისი საკუთარი ნიშანი აქვს, რომელსაც იეროგლიფი ეწოდება. ეს, არსებითად იგივეა, რასაც ეგვიპტური იეროგლიფი წარმოადგენდა. ჩინური იეროგლიფები ისესხეს იაპონელებმაც, რომლებიც დღევანდლამდე ამ იეროგლიფებით სარგებლობენ. ვინაიდან ჩინური იეროგლიფები იაპონური ენისათვის სავსებით შესაფერი არ გამოდგა, საჭირო შეიქნა კიდევ დამატებითი ნიშნების გამოგონება. ჩინური იეროგლიფებიდან განვითარდა იაპონური სილაბური დამწერლობა.

ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში რამდენიმე აზრი არსებობს. ყველაზე ახლოა სინამდვილესთან შეხედულება, რომ ჩვენი შრიფტი უნდა მომდინარეობდეს ძველი ფინიკიური დამწერლობიდან, საიდანაც განვითარდა აგრეთვე ბერძნული ანბანი.

ლათინური ანბანი წარმოშობილია ბერძნულისაგან, აქედანვე მომდინარეობს რუსული დამწერლობაც.

დღეს მთელ მსოფლიოში იხმარება უმთავრესად შემდეგი ანბნები: ლათინური (იყენებენ იტალიელები, ფრანგები, ინგლისელები, ესპანელები, რუმინელები და ევროპისა, ამერიკისა და აზიის მრავალი სხვა ხალხები, აგრეთვე სანახევროდ გერმანელებიც), გოთური (საკუთრივ გერმანული შრიფტი), ბერძნული, რუსული (ხმარობენ უკრაინელები, ბელორუსები და სხვ.), არაბული (იყენებენ არაბები, სპარსელები, ავღანელები და სხვ.), მონღოლური (ხმარობენ მონღოლები, ტიბეტელები...), ქართული (იყენებენ აფხაზები, ოსები...), სომხური და სხვ. გარდა ამისა, ჩინელები და იაპონელები ხმარობენ კვლავ იეროგლიფურ დამწერლობას; სილაბური ნიშნებიდან უნდა აღინიშნოს იაპონური ორგვარი მარცვლოვანი წერილი.

მთელ მსოფლიოში არ არის არცერთი ისეთი ანბანი, რომელიც სავსებით გამოხატავდეს სათანადო ენის ყველა ბგერას და აღნიშნულ ენაში არსებობდეს წესი, რომლის მიხედვით სიტყვა იწერება ისე, როგორც გამოითქმის. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ქართული ენა, სადაც დაწერილობა და გამოთქმა სავსებით ემთხვევა ერთმანეთს..

ლეგ. ვ. დ-ლი.

## გასართობი

### ჭადრაკი

ამოცანა N 10

ს. ლოიდი



შამათი 2 სვლაში

თეთრები: მფe7, ეტg4, კუh6, მხd6 (4).

შავები: მფe5, მხe1, მხh5, პd5 (4).

### ამოცანა N 9 გადაწყვეტა

1. მფf3 - g4! მფe5 : e4. 2. კუe3 - f4, მხb2 - d3. 3. პf2 - f3 ×.

„ „ მფe5 - e6. 2. კუe4 - f5 +, მფe5 - f6. 3. კუe3 - d4 ×.

„ „ მხb2 - d3. 2. კუe3 - d4 +, მფe5 -e6. 3. კუe4 - f5 ×.

„ „ მხb2 - d3. 2. კუe3 - d4 +, მფe5 : e4. 3. პf2 - f3 ×.

## ქართული კულტურის მატიანე

### „ლეგიონერის უბის წიგნი"

ქართული საკავშირო შტაბის ინიციატივით ბ-მა ალ. ასათიანმა შეადგინა „ქართველი ლეგიონერის უბის წიგნი", რომელიც უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა. იგი შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: ქართველი ერის ახალი თაობა ეროვნული ბრძოლის ასპარეზზე; საქართველო და რუსეთის იმპერია; საქართველო და კომუნისტური რუსეთი; საქართველო და ევროპა, საქართველო და აღმოსავლეთი; საქართველო და გერმანია; ომი და სოციალ-პოლიტიკური სისტემები; ბრძნული აზრები; ქართველ მებრძოლთა ლაშქრული; ისტორიული ცნობები; სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ; ქართული კალენდარი.

წიგნაკი პატარა ფორმატისაა და გამოცემულია კულტურულად.

### ახალი ღია ბარათი

გაზ. „საქართველოს" რედაქციამ გამოსცა ლეგიონერი მხატვრის მიერ აკვარელით შესრულებული სურათი „თამარ მეფე მონასტრის მშენებლობაზე". სურათი დაბეჭდილია ღია ბარათად და მოკლე ხანში დაეგზავნებათ ქართულ ნაწილებში მოხალისეებს საველე ფოსტით წერილების მისაწერად.

## იცით თუ არა თქვენ?

### ...რომ დედამიწის ლოსახლეობა მუდმივად იბომბება პლანეტთაშორისი სივრციდან?

პლანეტთაშორისი სივრციდან დედამიწას ეცემა მეტად მაღალი ინტენსიობის მოკლეტალღიანი სხივები. ამ სხივებს იმდენად დიდი ენერგია აქვთ, რომ ინარჩუნებენ თავიანთ მაღალ ინტენსიობას დედამიწაში 500 მეტრის სიღრმემდე ჩასვლის შემდეგაც. სხივები თავისუფლად ჰკვეთენ აგრეთვე წყლის ფენას 230 მეტრამდე. უახლესი გამოკვლევებისას, ენერგიის ამ წყაროთი სარგებლობენ ატომის ფიზიკის დარგში ცდების ჩასატარებლად. აღნიშნული სხივების წარმოშობის მიზეზთა შესახებ მრავალი აზრი არსებობს. ერთერთი მათგანი, სხვათაშორის, აღიარებს, რომ მათი წარმოშობა დაკავშირებულია კოსმიური სივრცის კატასტროფებთან.

### ...რომ ფიზიკურ ტკივილს აქვს ღრმა აზრი და ადამიანებს აძლევს უდიდეს შეღავათს?

წარმოიდგინეთ, რომ ადამიანის სხეულს არ ჰქონდეს ტკივილის შეგრძნობის უნარი. მაშინ ყოველგვარ ტკივილს (დაწვის, დაჟეჟვისა ან გატეხისაგან გამოწვეულს), ადამიანი გაიგებდა მხოლოდ შემთხვევით. ტკივილის გრძნობა მას აყენებს თავდაცვისათვის მზადმყოფ მდგომარეობაში. ის ფაქტი, რომ ადამიანის გარსი გრძნობს ტკივილს, წარმოადგენს საუკეთესო პირობას თავდაცვისათვის. ნერვიული სისტემის ზოგიერთი დაავადების დროს, ცნობილია, რომ ადამიანი ჰკარგავს ტკივილის შეგრძნობის უნარს. ასეთი ავადმყოფობით შეპყრობილი ადამიანი, ასე ვთქვათ, აღარ ღებულობს წინასწარ ნიშანს, რომელიც მისცემდა მას საშუალებას მოემზადოს თავდაცვისათვის.

## შეამოწმე შენი ცოდნა

1. რომელ წელს გამოვიდა და რა ერქვა პირველ ქართულ გაზეთს?
2. რამდენჯერ უფრო ნაკლებ სინათლეს იძლევა მთვარე მზესთან შედარებით?
3. ვინ დასწერა პირველი ქართული სონეტი?
4. რა არის ნაკიანი წელი?
5. რომელი ქალი მწერალი სწერდა მამაკაცის ფსევდონიმით და როგორ აწერდა ხელს თავის ნაშრომებს?

### N 17 (94) მოთავსებული შეკითხვების პასუხები

1. პოლარული ვარსკვლავი.
2. 1492 წლის 12 ოქტომბერს, ესპანეთის დედოფლის დახმარებით.
3. ეგვიპტეში, აშურბანიპალის ბიბლიოთეკა.
4. ჟულ ვერნი.
5. 1815 წელს, წმ. ელენეს კუნძულზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ლ. ლინი
რედაქციის მისამართი
Georgische Zeitung „Sakarthwelo".
Berlin W 7, Dorotheenstraße 64
ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა